ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 7 მარტი 1910 წ.

№ 27

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ნ ძიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. სახღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ს. დოროუნოვი

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი, ტელეფონი № 583.

საზამთრო სეზონის გათავების შემდეგ, ყოველ-წლიურათ, ჩვეულებრივი დიდმარხვის

დიდი იაფი ვაჭრობა

ექვსი დღის განმავლობაში

8, 9, 10, 11, 12, და 13 მარტს

ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებაში უუიაფეს ფასებში გასაყიდათ დაინიშნა 300,000 მანეთის საქონელი, რომელიც გაიყიდება უმაგალითო იაფ ფასებში

ის საქონელი, რომელნიც „მოდიდან" გამოვიდა, და ის საქონელიც, რომელნიც მაღაზიის ფანჯრებში იყო გამოფენილი—გაიყიდება 75% დათმობით ნომინალურ ღირებულებაზე.

ბევრი ნაჭრები და კუპონები დიდი დათმობით

ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 7 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება მეორმოცე დღის პანაშვიდი

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

სულის მოსახსენებლად, შუადღის 12 საათზე. (2—2)

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა ამით აუწყებს, რომ კვირას, 7 თებერვალს დღის 12 საათზედ ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გამგეობის თავმჯდომარის

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

გარდაცვალების მეორმოცე დღეს დანიშნულია პანაშვიდი.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ 5 მარტს გარდაიცვალ სტატსკი სოვეტნიკის ქვრივი

კონსტანცია სტანისლავის ასული ტურიაშვილისა.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 7 მარტს. ცხედარს გამოასვენებენ სახლიდან (ავჭალის ქ. № 34) რომის კათოლიკეთა ეკლესიაში (ნიკოლ. ქ.) და იქიდან კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე (1—1)

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

პასხალიდის
აბრეშუმის
თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში

მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას

ქ. ბათუმში, მარიინსკის პროსპ. სახ. № 10 (15—9)

ავლაბრის აუდიტორიაში

კვირას, 7 მარტს

ქ-ნი კარბელაშვილი ქართულათ წაიკითხავს

„იასონის"

შვიდ ბუნდოვან სურათებით. დასაწყისი თერთმეტ საათზე.

ვიდებ

ყოველნაირ საკერავს

კაბებს და თეთრეულს, ამასთან ვიყვან შეგირდებს ყოველნაირ ხელოსნობისას.

მიხაილოვის ქუჩა № 23 მ. მელიტაური

0—1

7 მარტს

კიროჩნი ქუჩა № 21 აფიცერთა ეკონ. საზოგად. გვერდზე გაიხსნა სასტუმრო

„ოტელ-იმპერიალი"

განათება ელექტრონისა. ნამდვილი კომფორტი. საგანგებო სისუფთავე. თავაზიანი მოსამსახურენი. ნომრების წინ ჩერდება ტრამვაის ვაგონი. მოწყობილება სრულიად ახალი. ფასი მეტად ხელმისაწდომი 1 მანეთიდან—3 მ. 50 კ. დღე-ღამეში. თვიურ მდგმურებისათვის პირადი შეთანხმებით. გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

პატივისცემით ა. ს. ნატროევი და ამხ.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ.

ამით მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ცნობილი

ძმ. პასხალიდების
აბრეშუმის თესლი

წელს აქვთ მინდობილი გასასყიდათ შემდეგ ფირმებს:

ბათუმში: მ. ს. მანუილიდს ზღვისპირის ქუჩაზე., ამხანაგობა „იმედს" მიხაილოვის ქუჩაზე, და მ. გ. რუსიძეს მარიინსკი პროსპექტზე. **სამტრედიაში:** პორფილე ჭეიშვილს. **ხონში:** ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას (სოფელ კუხში) **ქუთაისში:** კონსტ. ოქ-ძე მელაშვილს. **ახალსენაკში:** ა. ბ. ჩაჩიბაიას.

როგორც გასულ წელს, ისე ამ წელსაც „ძმ. პასხალიდების" მიერ ქუთაისის გუბერნიისათვის აბრეშუმის თესლი საგანგებოთ დამზადებულია, ქუთაისის გუბერნიის

პირველ მეაბრეშუმეთა ამხან. დაკვეთით

[illegible] წარმომადგენელი „ძმათა პასხალიდების" ფირმისა (12—2)

გამოსათხოვარი

ქართული თეატრი

სამშაბათს, 9 [illegible] 1910 წ.

და [illegible] ვფიქრობდით, [illegible] უდგა" ქალაქის „მამებს". ჩვენ გვქონდა საბუთი გვეფიქრა, რომ საბჭოში მართლაც იყო ოპოზიცია, რომელსაც უნდა დაეცვა მკვიდრთა დემოკრატიული ნაწილის ინტერესები, მაგრამ რადგანაც ამ ინტერესების სასურველათ დაცვა დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში შეუძლებელია, და ეს იმ ნაწილმა კარგათ იცოდა, ამისათვის ოპოზიცია ვალდებული იყო საბჭოს მოღვაწეობა ემხილა, გამოეაშკარავებია მისი სულის-კვეთება და ქალაქის საქმეების შესახებ თავისი აზრი, შეხედულება და საზოგადო პოლიტიკა ცხადათ დაესვა და გადაეშალა.

ჩვენ გვეგონა, რომ ქალაქის გამგეობა ვერ დაიცავდა და არ იცავდა მცხოვრებლების ინტერესებს. ამ გარემოებას ჩვენ დრო-გამოშვებით, შეძლების და გვარათ ავღნიშნავდით ხოლმე.

მაგრამ ჩვენ მოტყუილებული დავრჩით. საქმე თურმე სულ სხვანაირათ ყოფილა, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

ჟურნალისტთა უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის ხმოსანმა ნ. ელიავამ გვამცნო, რომ საბჭოში ოპოზიცია კიდეც იყო და არც იყო. „კიდეც იყო" იმიტომ, რომ ხმოსნების ერთი ჯგუფი თავის თავს ოპოზიციას ეძახდა; „არც იყო" იმიტომ, რომ ამ ოპოზიციაში არავითარი საჭიროება არ ყოფილა, ვინაიდან, თურმე გამგეობა საბჭოსთან შედარებით უფრო მემარცხენეა, საბჭოზე უფრო დემოკრატიულია; ის, რამდენათაც დღეს-დღეობით შესაძლოა, დემოკრატი- [illegible] წარ[illegible]ლი ფაქტე- [illegible] ათ, ვთქვათ, რომ [illegible] ენ ამისმესხუფქტები ხელთ არ გვაქვს, [illegible] ულებით არ მოგვეპოვება. ამ შემთხვევაში კითხვას მეორე გვერდით მოვუაროთ [illegible] ვიკითხოთ: დაიცავს თუ არა დღევანდელი ქალაქის თვითმართველობა მცხოვრებლების ინტერესებს? აძლევს თუ არა ამის საშუალებას ის პრინციპი, რომელიც მას საძირკვლად უდევს?

დღევანდელი საარჩევნო კანონის ძალით ქალაქის ხმოსნებს ირჩევს მცხოვრებლების მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილი: სახლის პატრონები და ვაჭარ-მრეწველები. ვინც ამ კატეგორიაში არ შედის, ის მოკლებულია საარჩევნო უფლებებს, როგორც აქტიურს, ისე პასიურს, ე. ი., არც არჩევა შეუძლიათ, არც არჩეული იქნებიან. ამგვარად, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა: მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ნოქრები, მოხელეები, ვექილები, ექიმები, მასწავლებლები და სხვა თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები ქალაქის თვითმართველობის კარებს აქეთ რჩებიან. სამასი ათასი მცხოვრებლებიდან მხოლოდ რამდენიმე ათას მცხოვრებელს აქვს საარჩევნო უფლება. თვითმართველობა შეძლებულების წარმომადგენელია. თავის თავის მტერი არავინ არ არის, და, რასაკვირველია, არც ამომრჩევლები აირჩევენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს,—მტრებს. შეძლებული ნაწილი [illegible]ისთანა პირებს აირჩევს, რომელნიც მის ინტერესებს დაიცავს, ეს ინტერესები [illegible] ეწინააღმდეგებიან შეუძლებელ ნაწილის ინტერესებს. და განა ჩვენ აპრიორი (წინდაწინვე) არ შეგვეძლია ვთქვათ:

ბ-ნ ლისოვსკის ლ[illegible]

კოლექტივიზმი.

(დასასრული).

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურულ მიმდინარეობათა თავისებურობა რუსეთში შედარებით დასავლეთ-ევროპის ლიტერატურასთან, ლექტორმა საკმაო მოხდენილათ გაარკვია, თუმცა არა ისე სისრულით და ვრცლათ, როგორც ეს ჩვენ გვინდოდა და აი, ლექციის ეს ნაწილი აუცილებლათ ბევრათ უკეთესი იყო.

დასავლეთში დიდი ხანია, რაც მოხდა ლიტერატურის დიფერენციაცია საზოგადოებრივ ცხოვრებიდან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იქ ლიტერატურა არ თამაშობდა ისეთ როლს, როგორსაც რუსეთში. ეს არც გასაკვირია. იქ საზოგადოებრივ ცხოვრებას ბევრი სხვადასხვა საშუალება აქვს თავის გამოსახატავათ; იქ პარლამენტი ასრულებდა და ასრულებს იმას, რაც თავის წარმოშობის დროს მიზნათ დაისახა რუსეთის ლიტერატურამ.

ეს მიზანი ჩვენ შემდეგ ფორმულაში გამოვსახეთ: **ბრძოლა თავისუფალი პიროვნებისათვის და თავისუფალი საზოგადოებრივობისათვის.**

მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში პარლამენტი შესანიშნავი სიძლიერით და დაბეჯითებით ემსახურებოდა მოწინავე დემოკრატიის ამ მიზანს, რუსეთში საზოგადოებრივი აზრის ერთად-ერთი თავშესაფარი იყო ლიტერატურა. და აი, აქედან წარმოსდგება განსხვავება ლიტერატურის სვე-ბედში იქ და აქ.

ლექტორმა სინამდვილით აღნიშნა, რომ ჩვენში თეორიული ელემენტები უფრო სჭარბობდენ, ვინემ პრაქტიკული. რომელიც ჩვენ ზევით დავასახელეთ. კითხვა მეტათ სერიოზული და რთულია და ლექტორის მიერ გაკვრით თქმული რამდენიმე სიტყვა, რასაკვირველია, საკმარისი არაა ამ კითხვის სავსებით გასანათებლათ, მარა ამ ხელათ დავკმაყოფილდეთ ამ შენიშვნით და შევჩერდეთ იმ ანალიზზე, რომელიც გაუკეთა ლექტორმა ანდრეევის, გორკის და არციბაშევის ლიტერატურულ ნაწარმოებთ.

სამწუხაროთ, რეცენზია მეტად გაგვიგრძელდა და ამიტომ იძულებული ვართ გვერდი ავუხვიოთ ანდრეევს და გორკის და ამათ შესახებ დავკმაყოფილდეთ შენიშვნით რომ ლექციის ნაწილებთა შორის იმ პროპორციონალის უქონლობამ, რომელზედაც ჩვენ ზევითა ვსთქვით, აქაც იჩინა თავი.

სრულიათ გაუგებარია, როგორ შეიძლება გორკის კოლექტივისტურ შემოქმედებაზე ილაპარაკო და დაივიწყოთ მისი „დედა" (Мать), რომელიც, ასე ვთქვათ, კოლექტივისტურ პოემათ ითვლება. ბ. ლისოვსკიმ კი ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია გორკის ეს უდიდესი ნაწარმოები.

საზოგადოთ ჩვენ შევნიშნეთ, რომ ბ. ლისოვსკის მიდრეკილება აქვს тщательно процѣживать муху и глотать верблюда—როგორც რუსები იტყვიან.

როცა ბ-ნ ლისოვსკი ლაპარაკობს ლიტერატურულ საზოგადოებრივ მიმდინარებათა ცვლილებაზე რუსეთში, ის ყველაზე უფრო დიდ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობას—მარქსიზმს „ულაპავს", ხოლო სწმენდს კრიტიკის საცერში ისეთ მიმდინარეობას—დეკადენტიზმს, რომელსაც არავითარი

ლავდენ თვითონ მოძრაობას და მასში მონაწილეობის მიმღები. უგუნურნი იმდენათ ბრმები იყვენ, რომ ვერ გრძნობენ, თუ ამით სჭრიდენ ხის იმ ტოტს, რაზედაც თვითონ ისხდენ. განა მთავრობა ოდესმე შემოიღებდა თავის ნებით რუსეთში წარმომადგენლობითი დაწესებულებას, დუმის ხასიათითაც კი, თვითონ შეიკვეცდა თავის განუსაზღვრელ უფლებებს და სხვებს გაუზიარებდა მათ? არა და ათასჯერ არა. დუმა 17 ოქტომბრის მოძრაობის ნაყოფი იყო და არის და არა ოქტომბრისტების, როგორც ისინი ყოყოჩობენ; და როდესაც წიხლავენ დუმის წარმომშობ ძალას, ამით ისინი თავის თავს იმარცხებენ და აკი დამარცხდენ კიდეც, როცა მიბრძანება მოსთხოვეს. სად უნდა ვეძიოთ ოქტომბრისტების დამარცხების მიზეზები, თვითონ მათ პიროვნებაში, თუ მათ გარეშე? მათი პიროვნება აქ იმდენათ არაფერ შუაშია. ოქტომბრისტების დიდ უმეტესობას შეადგენენ მემამულე აზნაურები და მსხვილ მოხელეებათ ყოფილნი, სულ მცირედი ნაწილია ვაჭარ-მრეწველ კლასიდან. მესამე დუმის მოღვაწეობის პირველ ხანებში ბევრს ეგონა, რომ მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა „ბლოკი" ხნიერი გამოდგებოდა, მათი ინტერესები ერთ დრომდის და ცნობილ საზღვრამდის შეთანხმებული იქნებოდა და დუმაშიც ამ ორი კლასის ინტერესებისათვის აუცილებელ რეფორმებს გაატარებდენ, მაგრამ თავიდან ეჩნეოდა, რომ ეს ასე არ იყო. მათი ინტერესები მხოლოდ ერთ წერტილში ხვდებოდენ ერთმანეთს,—როცა ლაპარაკი იყო განმათავისუფლებელ მოძრაობის განადგურებაზე, ამაში არა თუ ოქტომბრისტების ორი სხვადასხვა სოციალური ნაწილი ერთდებოდენ, მათთან იყვენ ზომიერ-მემარჯვენეები, ნაციონალისტური, უკიდურესი მემარჯვენეები, კიდევ მეტს ვიტყვით, მათ მხარს უჭერდენ მუსულმანთა ფრაქცია, პოლონელების კოლო და ხან-გამოშვებით პროგრესისტებიც. განმათავისუფლებელი მოძრაობა განადგურდა, საზოგადოების ყოველგვარი აქტიური ძალა აქა იქ მიიმალა—არსაიდან ხმა, არსით ძახილი, მხოლოდ შავ-რაზმელების ყაყვ-ყორანისებური ჩხავილი მოისმოდა და სწორეთ ამ დროს, როცა უნდა დაწყებულიყო [illegible] ტორული მოღვაწეობა, გულისთვისაც საზოგად[illegible] [illegible] ლოს სანინი? ეჭვი არაა, ლისოვსკი ამას ადასტურებს. განა ეს არის ღირსებები, რომლებიც ხელს უწყობენ „ყოფა-ცხოვრების" (БЫТЪ) გამაგრებას?

ჩვენ კი, პირიქით, სანინი გახრწნილ კაცათ მიგვაჩნია, რომელიც დღეს დასცინის მას, რაზედაც გუშინ ლოცულობდა; მიგვაჩნია ისეთ პარაზიტათ, რომლის არ მიღება, რასაკვირველია, არ შეუძლია იმ საზოგადოებას, რომელიც ასეთივე პარაზიტებიდან შესდგება.

მაგრამ არის საზოგადოება და საზოგადოებანი, როგორც მოლიერის პერსონაჟის „ფაგო ეფაგო". საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც თავის დროის მოწინავე იდეალების მატარებელია, რომელმაც თავის დროშაზე განსაზღვრული, საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალები გამოხატა და რომელიც აქტიურათ მიისწრაფვის ამ იდეალისაკენ, არა თუ მიიღებს თავის წრეში ამ მუქთა ხორას, არამედ—ახლოსაც არ მიიკარებს.

ასეთია ჩვენი შეხედულება სანინზე, რაც, როგორც ხედავთ, ძირითადათ განსხვავდება ლისოვსკის შეხედულებისაგან.

ლექტორმა ეფექტიანათ დაასრულა თავისი ლექცია. მან იმედ დაკარგული საზოგადოება შეადარა მეთევზეს, რომელიც ზის გატეხილ ვარცლთან და **ელოდება** მღელვარე ზღვიდან ოქროს თევზს.

ჩვენი ულონო და აპატიური საზოგადოება, რომელსაც ენერგია გამოლევია, მართლაც ჰგავს მეთევზეს, რომელიც **ელოდება** „ზღვიდან კარგ ამინდს", მაგრამ იმ აქტიურ და მოწინავე ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას, რომელზედაც მე ზე-

სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

5 მარტი.

ხუთი მარტის სხდომაზე ისევ განაგრძეს სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათი.

სკოროხოდოვმა მოკლე სიტყვით დაასურათა ციმბირის მდგომარეობა სწავლა-განათლების მხრით. ორატორის სიტყვით უმთავრესათ გადასახლებულები იმყოფებიან სიბნელეში. ციმბირში სწავლა-განათლების წესიერ ნიადაგზე დასაყენებლათ არც სამინისტრო ზრუნავდა, არც მისი ადგილობრივი აგენტები.

გრ. უვაროვი ეხება საშვალო სკოლების მდგომარეობას, რომ სკოლები და ოჯახები ერთი-მეორეს დაშორებული არიან, სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება მშობელთა კომიტეტების წინააღმდეგ არის მიმართული. დასასრულ საბიუჯეტო კომისიის მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულას ის უმატებს, რომ სასურველია მშობელთა კომიტეტების მოქმედების გაფართოვება და სკოლის და ოჯახის დაახლოება.

ბულატს დაბალ და საშვალო სკოლების ცხოვრებიდან მოყავს მაგალითები, რომლებითაც ახასიათებს სახალხო განათლების სამინისტროს მოქმედებას. საშვალო სკოლებში სამინისტროს წყალობით გავრცელებულია ჯაშუშობა, სკოლის გარეთ სწავლა-განათლების საქმე ცუდათ არის დაყენებული. (მარცხნით ტაშის ცემა, მარჯვნით სტვენა).

პურიშკევიჩი ჩვეულებრივათ განაგრძობს თავის სიტყვას. ის ყველაფერს პროფესორთა კავშირს აბრალებს. სტუდენტები მორალურათ გაიხრწნენ უნივერსიტეტში და უმეტესათ სტუდენტთა სასადილოებში გავრცელდა ქურდობა, რამაც სტუდენტთა თვით-მკვლელობა გამოიწვია. დღეს პეტერბურგის უნივერსიტეტი ხელში ჩაიგდეს ს.-რევოლიუციონერებმა, რომლებმაც სტაროსტათა საბჭო საორგანიზაციო ბიუროთ გადააქციეს. ორატორი საჭიროთ სცნობს მოიგონოს საზიზღარი ფაქტები სტუდენტთა ცხოვრებიდან. ადესის უნივერსიტეტის საქმის გამოკვლევის დროს პროფესორ ალმაზოვის ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ადესის უნივერსიტეტში ზოგიერთი ოთახები „საზოგადო სახლათ“ გადაიქცა, პეტერბურგის უნივერსიტეტის შენობაში ბიბლიოთეკის გვერდით არის ოთახი, სადაც ახალგაზრდობა ცოდვებს ჩადის.

ხმები მარცხნიდან. ეს საზიზღრობაა, გააჩერეთ.

თავმჯდომარე: მე თვითონ ვიცი—რა არის საზიზღრობა და რა არა.

პურიშკევიჩი ჩვენ ყველა სარწმუნოების ხალხნი ვართ; პეტერბურგის უნი[illegible]ვერსიტეტის კარებთან კი კურსისტკები და სტუდენტები აღმაშფოთებელ აქტებს ახდენენ. ხმები მარცხნიდან:—სიცრუეა, სირცხვილი, გიჟი!

გეგეჭკორი ადგილიდან — დაანებეთ თავი. ეს უბედური კაცია.

დასასრულ პურიშკევიჩი აყენებს ფორმულას, რომლითაც აღნიშნავს პროფესორთა აკადემიურ კავშირის როლს, სთხოვს სახალხო სამინისტროს მიაქციოს ყურადღება რუსეთის სკოლის გახრწნას, რომელსაც დაღუპვამდე მიყავს სახელმწიფო (მარჯვნით ტაშის ცემა). ლაპარაკობენ ბარიატინსკი, კრუპენსკი და სალათელიანი. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 6 მარტს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მარტი.

სპარსეთი

თავრიზი. რადგან სათარ-ხანმა გადაჭრით უარი სთქვა თეირანში წასვლაზე, სეპეხდარმა მისწერა ეფრემს, რომ ძალა იხმაროს მის წინააღმდეგ. ეფრემმა უარი სთქვა ამაზე, რადგან შეეშინდა მუსულმანები შურს იძიებენ სომხებზეო.

— სათარ-ხანი და ბაგირხანი დასთანხმდენ წავიდენ თეირანში, მთავრობამ სამგზავროთ თითოეულს მისცა 3500 თუმანი.

თეირანი. ზილლი-სულთანის ყოფილი საჭურისი გარიბ-ხანი, რომელმაც შახის ქარავანი გაძარცვა, კუმიშში გამაგრდა. მან დაამარცხა ბახტიართა რაზმი. ისფაგანის გუბერნატორი ჯარს კრებს მის წინააღმდეგ. გარიბ-ხანი ადგილობრივ ყაჩაღებს კრებს.

საზღვარ-გარეთ

ბერლინი. „ფოსს. ცაიტ.“ დაცინვის კილოთი სწერს ბალკანეთის ხელმწიფეების მისვლაზე ოსმალეთში და აფრთხილებს ოსმალეთს ბულგარელებისაგან და ბალკანეთის ფედერაციას ხიმერას ეძახის. გაზეთი სცნობს იზვოლსკის გამარჯვებას, რომელმაც გაკაფა ბალკანეთის ხელმწიფეების სამოგზაურო გზა. ბალკანეთის ხელმწიფეები მიდიან თაყვანის საცემლათ პეტერბურგში და ჯერ-ჯერობით ასრულებენ რუსეთის საგარეო სამინისტროს ყველა სურვილებს.

ლონდონი. „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან, რომ სპარსეთის მთავრობა ინგლის-რუსეთის წინადადებაზე სესხის შესახებ, ჯერ გადაჭრილ პასუხს არ იძლევა.

პარიჟი. სენატი. სხდომის დახურვის წინ მემარცხენე ფრაქციების თავმჯდომარეებმა შეიტანეს მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომლის პირველ ნაწილში კიცხავენ სასულიერო ქონების ზოგიერთ ლიკვიდატორებს და მეორე ნაწილში იმედს აცხადებენ, რომ მთავრობა დასჯის დამნაშ[illegible] ფორმულა

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. ჩვენებას ართმევენ ტარნოვსკაიას იმ ანდერძის შესახებ, რომლითაც ის მემკვიდრეთ ითვლება კომაროვსკის ქონების. კითხულობენ კომაროვსკის წერილს, რომლიდანაც სჩანს, რომ ტარნოვსკაია სთხოვდა მას ეცადნა ანდერძის დაწერა და თავის დაზღვევა. ის ამას მით ასაბუთებს, რომ ფულები არ ესაჭიროებოდა. რუსეთში წასვლისას მას ქონდა 70,000 მანათი. პრილუკოვი აცხადებს, რომ ის ფულები, რომლებიც ტარნოვსკაიას ქონდა, მისი იყო. თავმჯდომარე, პროკურორი და ვექილი რამდენიმე კითხვას აძლევენ ტარნოვსკაიას, მისი ვექილი აცხადებს, რომ ის ძალიან დაიღალა. სხდომა სწყდება.

ათინა. ფესალიაში მშვიდობიენობაა. საფრთხის თავიდან ასაცილებლათ ჯარები გააძლიერეს. მთავრობა შეუძლებლათ სცნობს კერძო მიწების ძალით ჩამორთმევას, რადგან ეს საერთაშორისო ხელშეკრულობის წინააღმდეგი იქნებოდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. პეტერბურგის გაზეთებში ცნობები მოათავსეს, თითქო ხომიაკოვის დუმის თავმჯდომარეობიდან გადადგომის მიზეზი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინის წერილი ყოფილიყოს მიზეზი 4 მარტს დუმაში სახალხო განათლების მინისტრის გამოსვლის გამო. ამის შესახებ „ცნობ. ბიურ.“ აცხადებს, რომ ხომიაკოვს არავითარი ასეთი წერილი არ მიუღია სტოლიპინისაგან.

პეტერბურგი. უნივერსიტეტში მოხდა დიდი კრება. მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც ზიზღს უცხადებენ პურიშკევიჩს დუმაში წარმოთქმულ სიტყვის გამო და პროტესტს—თავმჯდომარის წინააღმდეგ. პროტესტს მემარჯვენე სტუდენტები და რუსთა კავშირის წევრებიც შეუერთდენ.

ნოვო-ალექსანდრია. წესიერების დარღვევისათვის დისციპლინარულმა სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა სტუდენტების შესახებ; 15 სტუდენტს გამოეცხადა გაკიცხვა და წაერთვა უფლება დახმარების მიღების, 19 წაერთვა ასეთივე უფლება მთელი წლის განმავლობაში, 7—ნახევარ წელიწადს, 122-ს გამოეცხადა საყვედური, 11—შენიშვნა და 5 გაამართლა.

პლოცკი. სებევსკის გზაზე გაძარცვეს და მოკლეს სახელმწიფო არყის დუქნის ფულის ამკრეფი და მეეტლე.

სარატოვი. სამხედრო სასამართლომ განიხილა 1907 წელს მემამულე ქალის შირანოვსკაიას მამულზე თავდასხმის საქმე. შვიდ გლეხს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

ვლადივოსტოკი. გაიხსნა ვლადივოსტოკის დროებით საზღვაო-სამხედრო სასამართლოს სხდომა. განსახილველია ვლადივოსტოკის [illegible] სტოლიაროვს, ნეელოვს და ვოლოკიჩინს, მოხელე ზინდოვიჩს და მიხაილოვსკის და „მეშჩანინ“ კოზმინს.

ახალი ამბები

✦ **ტრამვაის გადასაჯდომი ადგილები.** თფილისის ტრამვაის ლიანდაგზე სულ 11 გადასაჯდომი ადგილი ითვლება. ქალაქისა და ტრამვაის ხელ-შეკრულობაში დაწვრილებით მოხსენებულია გადასაჯდომი ბილეთების ფასი და აგრეთვე წესიც, რითაც მგზავრებმა უნდა იხელმძღვანელონ. გადაწყვეტილია დასტამბონ ეს წესები და სახელმძღვანელოთ ტრამვაის ვაგონებში გააკრან.

✦ **ბაქოს ნავთის მრეწველებმა შუამდგომლობა** აღძრეს ნამესტნიკის წინაშე ბალახანაში საფოსტო-კანტორის დასაარსებლათ.

✦ **ბელგიელი კაპიტალისტი.** თფილისში ჩამოვიდა ბელგიელი კაპიტალისტი ფლატტე, რომელსაც მოლაპარაკება აქვს გამართული ქალაქთან მე-4 საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ. გარდა ამის ფლატტეს მინდობილი აქვს მოლაპარაკება გამართოს თფილისის თავადაზნაურობასთანაც 12,000,000 მ. აქციების განაღდებლათ. ეს ფული თავადაზნაურობას კახეთის რკინის გზის გასაყვანათ ესაჭიროება.

✦ **წყლის საყვანი ბაქოში.** ინგლის-ამერიკულ ერთ დიდ ამხანაგობას წინადადება შეუტანია ბაქოს ქალაქის გამგებაში, ნება დართოს ამხანაგობას იჯარით აიღოს ბაქოში წყლის საყვანის დაარსება. ამხანაგობა თანახმაა ინჟენერ ლინდლეის ხელმძღვანელობით იმუშაოს.

✦ **თფილისის ტრამვაი.** 6 მარტს ტრამვაის სახელოსნოში მომუშავე ღურგლებმა (16 კაცია) დირექციის მიერ 20 თებერვალს ახალი პირობების შემოღების შესახებ განცხადებაზე პასუხი გასცეს და ვინაიდან ახალი პირობები ერთობ აუტანელია, ამიტომ მის მიღებაზე უარი განაცხადეს და მიიღეს ანგარიშები,—თითოეულმა ექვს-ექვსი თვის ჯამაგირი. ყველამ შუათანა რიცხვით—4,800 მანეთი. დირექციამ უკვე მიიღო რამდენიმე ახალი მუშა დათხოვნილ მუშების ნაცვლად.

✦ **გაფიცვა ბაქოში.** ფითოევის ქარხნის მუშების გაფიცვაში. პოლიცა ჩაერია. მუშებს გამოუცხადეს: თუ 3 დღის განმავლობაში მუშაობას არ დაიწყებენ, ქარხნიდან დათხოვნილი იქნებიან. გაფიცულთა რიცხვს მიემატა კიდევ 60 მუშა, იმათაც მოითხოვეს ჯილდო. გაფიცვა შესწყდა. მუშების მოთხოვნები არ დაუკმაყოფილებიათ. (კავკ.)

✦ **საკრედიტო ამხანაგობა სოფლათ.** საგარეჯოს (იორის უღელტეხილი) [illegible]ებს დაუდგენიათ დაიარსონ ს.; დედათა [illegible]ობა.

✦ **თფილისის ნოქართა კრება** მოხდება დღეს, 7 მარტს, სახალხო სახლში დღის 12 საათზე, ნოქრები აირჩევენ [illegible]ვიანთ წარმომადგენელთ შერეულ კომისიაში, რომლის [illegible] გამოიმუშაოს სავალდებულო დადგენილებათა თანახმათ წესები სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ. კრება შესდგება 1906 წ. 15 ნოემბრის კანონის თანახმათ.

✦ **ჯარიმები.** გუბერნატორის დადგენილებით მეყასბე ს. სააკიანცი, რომელიც ხორცს დადგენილ ფასებზე მეტათ ყიდდა დაჯარიმებულია 25 მან.; 25 მანეთით დაჯარიმებულია თფილისის მცხოვრები მედუქნე ილარიონ ისაკაძე, რომელიც მოსწავლეებს დუქანში ქეიფობის ნებას აძლევდა.—25 მ. დაჯარიმებულია თფილისის მცხოვრები ზ. მაჭავარიანი ნებადაურთველათ ფორმის ტანისამოსის და იარაღის ტარებისათვის.

✦ **ბაქოს პოლიცმეისტერი** წინადადებას აძლევს თფილ. ქალაქის გამგეობას შეიძინოს ბაქოს პოლიციისაგან 500 რევოლვერი.

✦ **პანაშვიდი.** დღეს, 7 მარტს, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მარიამ დემურიას მოსაგონებლათ.

✦ **სახადი სოფლათ.** ს. კურდღელაურში (თელავის მაზრა) ამ ჟამათ გადამდები ავათ-მყოფობა—სახადი მძვინვარებს.

✦ **წლის საყვანი საბურთალოში.** დღეს, 7 მარტს, საბურთალოში დანიშნულია ადგილობრივ მცხოვრებთა კრება. კრება განიხილავს საკითხს წყლის საყვანის დაარსების შესახებ.

✦ **თფილისის ფუნიკულერი.** დღეიდან თფილისის ფუნიკულერზე დაიწყება ვაგონების მიმოსვლა. ვაგონები დილის 10 ს. საღამოს 6 საათამდე ივლის.

✦ **კონგრესი და ქართული საღამო პარიზში.** როგორც გავიგეთ აღდგომის დღესასწაულზე პარიზში ადგილობრივ ქართული ახალშენის თაოსნობით მოხდება ევროპის ქართველ მოსწავლეთა კონგრესი. ამავე დროს პარიზში გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამოც.

✦ **ელექტრონის სადგურის პროექტის** შესადგენათ ქალაქის გამგეობამ საფინანსო კომისიასთან ერთად გადასწყვიტა გადასდო 2000 მ. ამის შესახებ მოხსენებას ქალაქის საბჭოს წარუდგენენ.

✦ **დრამატიული საზოგადოება სურამში.** სურამში დაარსდა დრამატიული საზოგადოება. საზოგადოების წესდება გუბერნატორის მიერ უკვე დამტკიცებულია.

✦ **სიმწიფის ყალბი მოწმობა.** პარასკევს, 5 მარტს, თფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე იოსებ ტა[illegible]ბლიევისა, რომელსაც ბრალდებო[illegible]ლბი სიმწიფის მოწმობ[illegible]

[illegible] მისთვის სასურველი სახით მოუთხრობს მკითხველებს.

რუსეთი.

ავტომობილის მსხვერპლნი. გოროხოვის ქუჩაზე (პეტერბურგში) 27 თებერვალს, დღის 11 საათზე უბედურება მოხდა, რომლის მსხვერპლი შეიქნა 5 კაცი. ალექსანდრეს ბაღიდან «ცარსკოსელსკის» სადგურისაკენ მიექანებოდა ავტომობილი. შოფერის (ხელმძღვანელი ავტომობილის) გამოუცდელობით გოროხოვის ქუჩაზე გაქანებულმა ავტომობილმა მოუხვია და საშინელი ძალით დაეჯახა სახლის (№ 36) კედელს. ავტომობილმა კედელზე მიასრისა ამ დროს ქვა-ფენილზე მიმავალი ბარკინოვი, 28 წლის, უგლოვი, 18 წ., პავლოვი, 24 წ., სმირნოვი 24 წ. და სმიდინი 12 წ. ჩალეწილი მინების წკრიალთან ერთად მოისმა გულშემზარავი კვნესა-კივილი. შოფერს გონება დაებნა და ხელიდან გაუშვა ავტომობილის სამოძრაო ბორბალი. ამის გამო მატორი ისევ მოქმედებას განაგრძობდა და ავტომობილიც შეუწყვეტლივ აწვებოდა კედელს. შეგროვილმა მეეზოვეებმა და პოლიციელებმა ძლივს მოაცილეს ავტომობილი კედელს. ქვაფენილზე სცოდავათ ეყარნენ სრულებით დასახიჩრებული მსხვერპლნი. ზოგ მათგანს მთელი შიგნეულობა ქონდა გარეთ გადმოყრილი. ერთი დასახიჩრებულთაგანი იქვე გარდაიცვალა.

ტრამვაის საზოგადოების პრემიები. რადგან ტრამვაის ვაგონებისაგან ბევრი ხალხი სახიჩრდება, რომელთა დაჯილდოვება დიდ ხარჯებს მოითხოვს, მოსკოვის ქალაქის თვითმართველობამ გადასწყვიტა ორი [illegible]ადლათ შემოიღოს „პრემია“ გა[illegible] ვიშ, რა კარგ[illegible] მიეცე ლხენას განუს[illegible]

ს. კახური (გურია). კახურის საზოგადოება ძევს ჩრდილოეთ დასავლეთით ოზურგეთზე და შესდგება ხუთი პატარა სოფლებიდან: ჭანიეთური, ბაღეთი, ციხის ფერდი, ახალსოფელი და ეწერი. არა მგონია მოიძებნებოდეს გურიაში კიდევ ასეთი ჩამორჩენილი სოფლები. მიუხედავათ აქაური მიწის სინოყიერისა, მცხოვრებლები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. ერთ ერთ უმთავრეს მიზეზათ ხალხის სიღარიბისა, უნდა ჩაითვალოს გზების უქონლობა. ენკენისთვის გასულს აქ ისეთი ტალახები დგება, რომ არა თუ ურმებით, ქვეითათ სიარულიც შეუძლებელია. თუ ვინმეს ურემი ჩაეფლა ტალახში, ურემი უნდა დასცალოს და შემდეგ ცარიელი ამოიღეს. გზების შეკეთებაზე კი არავინ ფიქრობს. შარშან ვითომ ადგილობრივმა მამასახლისმა მოინდომა შეკეთება, მაგრამ სამწუხაროთ, იმ დროს ხანგრძლივი გვალვა იყო და ამის გამო ყურები არავინ გაიბერტყა.

რაიმე კულტურული დაწესებულება აქ ხომ სიზმრათაც არავის უნახავს. არსებობს მხოლოდ ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც ასზე მეტი მოსწავლეები სწავლობენ, მაგრამ, საუბედუროთ, მას ნაყოფი ძლიერ ცოტა, ან სულ არ მოაქვს, მას შემდეგ, რაც მასწავლებლათ დაინიშნა ი. მენაბდე. ბ. მენაბდეს როცა მოესურვება მაშინ ასწავლის ბავშვებს. სწავლის დაწყების დრო აქ ხან 12 და ხან პირველი საათია. მოახლოვდება თუ არა თვის ბოლო რიცხვები, ბ. მენაბდე თხოვნას აძლევს ბოქაულს, რომ ჯამაგირი თავის დროზე მოჰკრიბოს მამასახლისმა და ამით თავდება მისი მოღვაწეობა. ამას წინათ აქ გადმოიყვანეს ჯუმათიდან მეორე მასწავლებ-

ბ[illegible]ჯგროვეს ფული და უდროვოდ გარდაცვალებული ამხანაგის ეპიფანე მადნარაძის ხსოვნის აღსანიშნავად, ნაცვლად გვირგვინისა, გამოუწერეს მისივე სკოლ. ეწერის სკოლას ერთი წლით საუმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“.

სია შემომწირველთა: ს. არუცევი, ვალ. ლივანავა, ი. ჩხიკვაძე, დ. დვალი, ბეგთაბეგოვი, მ. რატიანიძე, ვლ. მიქაძე, ალ. ტატიშვილი, გრ. ცაგარეიშვილი, ალ. ფხაკაძე და ბ. ბურჭულაძე. ბ.

ბ ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ-ნ ადამ თუთაევს, რომელმაც არ დაიშურა არავითარი შრომა ჩვენი ბიბლიოთეკის საკეთილდღეოთ: უფასოთ დაგვითმო ერთი წლის ვადით ორი ოთახი სამკითხველოსთვის ღირებული წლ. 240 მ. შემოსწირა წიგნები, ღირებული დაახლოვებით 60 მან. ჟურნალები 200 ცალამდე სხვა და სხვა მწერლების სურათები. პრესი (სატბეცი) 10 მ. ღირებული, ფეხი 1 მ. 50 კ., სტოლი 1 მ. 50 კ., სადებავი 6 მ. სამელნე მოწყობილობით და სხვა და სხვა წვრილი ხარჯებიც თითონ იკისრა და ფიზიკური შრომაც არ დაიშურა.

მზრუნველები: ალ. ვაშაკიძე, ივ. კავლიოვი, ნიკ. ოკუჯავა, ნ. გიორგაძე და ვ. დარიბაშვილი.

პასუხათ „არტისტ“ კ. მჭედლიშვილს

(წერ. რედ. მიმართ).

ჩემს წერილში, „ახალი სხივი“ № 13, მე თქვენ გაგაფრთხილეთ, რომ ნუ მათქმევი-

ექ. ბ. ა. პოპ[illegible] [illegible]ლ დღე, კა[illegible] კირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ვათმყ. [illegible] 30 კაპ.. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.
(100—90)

ქ. ბათუმში
ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის
მაღაზია
კ. ა. მაჭარაძის და კ. ა. ჭეიშვილის
დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანსის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნათისა და თუჯის ფეხები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკების, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.
(0—1)

მიიღება ხელის მოწერა ორ-კვირეულ ჟურნალ ესპერანტოს ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე განმარტებით

„კავკასიის ესპერანტისტი“

ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის პროსპ. № 98 ძმ. ჰაჯიევების მაღაზიაში, 2) პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ სავაჟო გიმნაზიაში.

წელიწადში 1 მანეთი

სხვა ქალაქებიდან: **Тифлисъ, Панасевича ул. № 1, Айку Тер-Аствацатрянцу.**

სტამბა „შრომა“, რუსის ქ. № 3.

შემდეგშია: 1907 წელს ყაზანის უნივერსიტეტში მიიღეს ი. ტაბლიევი, რომელმაც სხვა საბუთთა შორის წარადგინა სიმწიფის მოწმობაც, გაცემული თფილისის პირველ გიმნაზიის დირექტორის ი. ე. გამყრელიძის მიერ. 1907 წ. 29 დეკემბერს ი. ტაბლიევმა უნივერსიტეტში ითხოვა თავისი საბუთები დაებრუნებიათ, მაგრამ როცა სამოსწავლო უწყებაში საბუთების გადათვალიერება მოხდა, გამოირკვა, რომ ი. ტაბლიევის მოწმობა ყალბია—არავითარი მოწმობა ივ. გამყრელიძეს არ გაუცია. გამოძიების დროს ტაბლიევმა განაცხადა, რომ ყაზანის უნივერსიტეტში არ ყოფილა და უნივერსიტეტში მიღების თხოვნაც არ შეუტანია. სასამართლოშიაც ეს განიმეორა. სასამართლომ ი. ტაბლიევს ყოველივე ღირსება-უფლების ჩამორთმევა და წლინახევრის გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა.

◆ **დრამა სასტუმროში.** ქალაქ კავკავში, ერთ სასტუმროში უბედურება დატრიალდა. სასტუმროში მდგმურთა შორის ასტყდა ჩხუბი. ერთი-მეორეს დაუშინეს თოფები. სროლის დროს დაიხოცენ—მოჩხუბარნი: კრასოვსკი და მაროზოვი, დაიჭრა მაროზოვის ცოლი, პოლიციელი და ერთი კერძო პირიც. („კავკ.“).

◆ **სახალხო კითხვები.** დღეს კავკასიის ექიმთა საზოგადოების შენობაში ქ-ნი ნასიძე 11 საათზე წაიკითხავს მოთხრობას მოზრდილთათვის ქართულ ენაზე. „დანგრეული ბუდე“.

◆ **რედაქციამ მიიღო** ალ. თუთაევის მიერ შედგენილი და გამოცემული 2 წიგნი: „ცოდვი გიტირო თუ ფული“—კომედია 4 მოქმ. და „უმარილის ბრალია“—კომ. 3 მოქ. ზირველი დირს 15 კ. მეორე—10 კ.

გურია. სოფ. ხვარბეთში ეგზეკუციას კიდევ მიუმატეს ჯარი. დაიჭირეს რამდენიმე კაცი და ციხეში გაგზავნეს.

— 3 მარტს ქალაქ ოზურგეთში მოიტანეს აღმოსავლეთ რაიონში აღმოჩენილი არსენალი პოლიციის მიერ. როგორც ნამდვილ წყაროდან გავიგეთ, სულ აღმოუჩენიათ 15 სხვადასხვა თოფი, 2 ყუმბარა, 3 ფუთამდე პატრონი. ამ საქმეზე დაიჭირეს რამდენიმე კაცი.

— 3 მარტს დაიჭირეს სერ. მურვანიძე და სამსონ ხურციძე.

— ოზურგეთში ამ დღეებში მოელიან ჯარს. სახლები დაიქირავეს.

ისტორიული „ნედორაზუმენიე“.

„ქალაქის გამგეობა, რამდენათაც შესაძლოა, დემოკრატიულ ნიადაგზე სდგას“.
ჟურნალისტთა კრების ანგარიშიდან.

პირველ მარტამდის ჩვენ გვეგონა, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, უნდა გვგონებოდა, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს და გამგეობის რპოზიცია ჰყავდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ოპოზიცია „კრიჭაში უდგა“ ქალაქის „მამებს“. ჩვენ გვქონდა საბუთი გვეფიქრა, რომ საბჭოში მართლაც იყო ოპოზიცია, რომელსაც უნდა დაეცვა მკვიდრთა დემოკრატიული ნაწილის ინტერესები, მაგრამ რადგანაც ამ ინტერესების სასურველათ დაცვა დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში შეუძლებელია, და ეს იმ ნაწილმა კარგათ იცოდა, ამისათვის ოპოზიცია ვალდებული იყო საბჭოს მოღვაწეობა ემხილა, გამოეაშკარავებია მისი სულის-კვეთება და ქალაქის საქმეების შესახებ თავისი აზრი, შეხედულება და საზოგადო პოლიტიკა ცხადათ დაესვა და გადაეშალა.

ჩვენ გვეგონა, რომ ქალაქის გამგეობა ვერ დაიცავდა და არ იცავდა მცხოვრებლების ინტერესებს. ამ გარემოებას ჩვენ დრო-გამოშვებით, შეძლების და გვარათ ავღნიშნავდით ხოლმე.

მაგრამ ჩვენ მოტყუილებული დავრჩით. საქმე თურმე სულ სხვანაირათ ყოფილა, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

ჟურნალისტთა უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის ხმოსანმა ნ. ელიავამ გვამცნო, რომ საბჭოში ოპოზიცია კიდეც იყო და არც იყო. „კიდეც იყო“ იმიტომ, რომ ხმოსნების ერთი ჯგუფი თავის თავს ოპოზიციას ეძახდა; „არც იყო“ იმიტომ, რომ ამ ოპოზიციაში არავითარი საჭიროება არ ყოფილა, ვინაიდან, თურმე გამგეობა საბჭოსთან შედარებით უფრო მემარცხენეა, საბჭოზე უფრო დემოკრატიულია; ის, რამდენათაც დღეს-დღეობით შესაძლოა, დემოკრატიულ ნიადაგზე სდგას; ის მუშებისთვის ზრუნავს; მუშებსა და მწარმოებელთა შორის გამწვავებულ დამოკიდებულებაში მას მშვიდობა და სათნოება შეაქვს.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ზემოთ აღნიშნული მანდატებიანი ხმოსნები საჯაროთ გაჰკიცხავდენ მირზოევებს, თუ კი მათ კუდებს ხელში მოიგდებდენ, თუ კი მათი საქმენი-საგმირონი გამოაშკარავდებოდენ.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამისთანა შემთხვევებით უთუოდ ისარგებლებდენ **ის ხმოსნები** და საჯაროთ ეტყოდენ თავიანთ ამომრჩევლებს: დაინახეთ, ხალხნო და ჯამათნო ქალაქის „მამები“, აი, ვინ განაგებს ქალაქის საქმეებს და სხვ. და სხვ.

აქაც მოვტყუვდით. ის ხმოსნები ვალდებულათ რაცხვენ თავიანთ თავს საჯაროთ გამოაცხადონ: „მირზოევის ხმოსნათ დატოვება რომ შეიძლებოდეს, ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებით, ვინაიდან ის მეტათ სასარგებლო ხმოსანი იყოო“. ისინი „ვალდებულათ სთვლიან თავიანთ თავს საჯაროთ მადლობა გამოუცხადონ ბ. მირზოევს, რადგანაც მან ბევრი ბოროტმოქმედება გამოამჟღავნაო“.

როდესაც ჩვენ ეს სიტყვები გვესმოდა საჯარო კრებაზე, ჩვენ ვიგონებდით, თუ რას სწერდა ამ კითხვების შესახებ „ახალი სხივი“ და ვეკითხებოდით ჩვენს თავს: რომელი ლაპარაკობს სიმართლეს: ბ. ნ. ელიავა თუ ეს გაზეთი? და თუ თვით ჩვენზე ეს სიტყვები ამგვარ შთაბეჭდილებას ახდენდენ, რაღა უნდა იფიქრონ იმ ამომრჩევლებმა, რომლებიც ნაკლებათ იცნობენ ქალაქის საქმეებს!

„ახალი სხივი“ გაიძახის: ქალაქის გამგეობა არ იცავს მცხოვრებლების ინტერესებს; ის ანტიდემოკრატიული დაწესებულებააო. ხმოსანი ნ. ელიავა არწმუნებს მცხოვრებლებს: რა საჭიროა ოპოზიცია, როდესაც გამგეობა დამამშვიდებელი ელემენტია;—როდესაც გამგეობა დემოკრატიულ ნიადაგზე სდგას, რამდენათაც შესაძლებელია დღეს-დღეობითო.

„ახალი სხივი“ გაჰკივის: ძირს მირზოევები; ნ. ელიავა სავალდებულოდ სთვლის მირზოევს მადლობა გამოუცხადოს.

გაზეთი ამტკიცებს: გამგეობა მუშების ინტერესებს არაფრად არ აგდებს, მათ მოსისხლე მტერს ქებათა-ქებას ასხამსო. ნ. ელიავა გაიძახის: ქალაქის განათების მოიჯარადრე მუშებს მუსრს გაავლებდა, ამისათვის ქალაქმა მას ჩამოართვა განათების საქმე და მუშებს ბინასაც მიცემს, ტანისამოსსაც დაურიგებს და სხვა ათას ბედნიერებას მიანიჭებსო.

რაშია საქმე? სად არის სიმართლე? ჩვენ არა ერთხელ და ორხელ გვითქვამს, რომ ქალაქის საბჭო და გამგეობა არ იცავენ მცხოვრებლების ინტერესებს თქო; ჩვენ ამის დამამტკიცებელი ფაქტები მოგვიყვანია, მაგრამ, ვთქვათ, რომ ჩვენ ამისთანა ფაქტები ხელთ არ გვაქვს, სრულებით არ მოგვეპოვება. ამ შემთხვაში კითხვას მეორე გვერდით მოვუაროთ და ვიკითხოთ: დაიცავს თუ არა დღევანდელი ქალაქის თვითმართველობა მცხოვრებლების ინტერესებს? აძლევს თუ არა მას ამის საშვალებას ის პრინციპი, რომელიც მას საძირკვლად უდევს?

დღევანდელი საარჩევნო კანონის ძალით ქალაქის ხმოსნებს ირჩევს მცხოვრებლების მხოლოდ ერთი მცირედი ნაწილი: სახლის პატრონები და ვაჭარ-მრეწველები. ვინც ამ კატეგორიაში არ შედის, ის მოკლებულია საარჩევნო უფლებებს, როგორც აქტიურს, ისე პასიურს, ე. ი., არც არჩევა შეუძლიათ, არც არჩეული იქნებიან. ამგვარად, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა: მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ნოქრები, მოხელეები, ვექილები, ექიმები, მასწავლებლები და სხვა თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები ქალაქის თვითმართველების კარებს აქეთ რჩებიან. სამასი ათასი მცხოვრებლებიდან მხოლოდ რამდენიმე ათას მცხოვრებელს აქვს საარჩევნო უფლება. თვითმართველობა შეძლებულების წარმომადგენელია. თავის თავის მტერი არავინ არ არის, და, რასაკვირველია, არც ამომრჩევლები აირჩევენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს,—მტრებს. შეძლებული ნაწილი იმისთანა პირებს აირჩევს, რომელნიც მის ინტერესებს დაიცავს, ეს ინტერესები კი ეწინააღმდეგებიან შეუძლებელ ნაწილის ინტერესებს. და განა ჩვენ აპრიორი (წინდაწინვე) არ შეგვიძლია ვთქვათ: ქალაქის თვითმართველობა არ დაიცავს, ვერ დაიცავს მცხოვრებლების ინტერესებს!

ეს ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება მანამდის, სანამ დღევანდელი სოციალური პირობები არ შეიცვლება.

ამას თვით ნ. ელიავა დაადასტურებს. და თუ მან ჟურნალისტების კრებაზე თავის ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა, ჩვენ ამას მხოლოდ რაღაც „ნედორაზუმენიათ“ ვხსნით. **იკა.**

ჩემს ჩონგურს

ჩვენ კვლავ მარტო ვართ, ჩემო ჩონგურო,
ცხოვრების ველზე ობლათ შთენილნი,
კვლავ სიმწუხარის ნაღველში ვცურავთ,
მწარე ხვედრისგან გვემულ-დევნილნი...
გახსოვს?—ან იმას რა დაგვავიწყებს?
ერთხელ ჩვენც ვკრეფდით შვებისა ვარდებს,
ნეტარებითა ვბრწყინავდით მაშინ,
სევდა ვერ ფლობდა გულს შენაყვარებს.
რა იმედებით, რა აღტაცებით
ჟღეროდა მაშინ შენი სიმები!...
მეც დაგმღეროდი მხიარულ ხმებით,
შორს იყო ჩვენგან მწარე ფიქრები!..
არ ვიცი... იქნებ შეშურდა ბედსა
ის უჩვეულო ბედნიერება
და გამოგვტაცეს, წაგვართვეს იგი...
იმაზე ფიქრით გული გვიკვდება!..
შენი სიმები დასტირის იმას,
დასველებული ჩემი ცრემლებით,
და, დამკარგველი სულის სწორისა,
მე ზედ დავკვნესი სევდიან ხმებით!
აწ ვისი ხელი შეგვაშრობს ცრემლებს,
ვინლა გვაცდიებს მხიარულ წამებს?
ვინ გაამთელებს დაკოდილ გულსა,
გრძნობას ნაწამებს ვინ დაგვიამებს?

ისევ შენ, ისევ ჩემო ჩონგურო,
ჩემთან შეზრდილო ტკბილ-მეგობარო,
ჩვენც ხომ ვერავინ ვეღარ გაგვთიშავს,
თუმც გადაბრუნდეს მთელი სამყარო!..
როს გულს ფიქრები შემოესევა—
მე შენ მოგმართავ, ჩამოგკრავ სიმებს,
ზედ დაგაკვნესებ ჩემ მწარე ხვედრსა,
გაგინდობ ჩემი გულის ნაფიქრებს...
და, ე, ვცურავდეთ ფიქრთა მორევში,
არ გვიღიმოდეს ბედი შავ-ბნელი,
შფოთავდეს გრძნობა მოუსვენარი,
ვიწოდეთ ისე, როგორც სანთელი!...
მარა ვიპოვით განა იმ სიტყვებს,
რაც გზას გაუხსნის ბოღმა-ნაღველსა?..
სიტყვებს, გამომთქმელს ჩვენი ტანჯვების
ჩვენი ფიქრების გამომხატველსა?
სიტყვა სუსტია, გრძნობა კი მძლავრი,
ვით ოკეანე აზვირთებული...
იტანჯვის გრძნობა გამოუთქმელი,
გენიის ცეცხლში ამოვლებული!..
მაშ ვინ გაუქროს იქვები მწარე
გულსა დაბურულს სევდებით კრულით?
ოხ!.. ვინ გამოსთქვამს იმას სიტყვებით—
რა ცეცხლს ვატარებთ მე და შენ გულით!..

კ. გოგოლაძე.

მაშვრალთა სიმღერა

მზის ამოსვლის შესახვედრათ
გადაქროლა მერცხალთ გუნდმა
და ჩვენცა გვსურს!—მაგრამ ვერა...
დაგვატყვევა შრომის ხუნდმა.
გარიჟრაჟზედ მიწის მკერდი
გრძნეულ ნამით იქარგება, —
ჩვენც გვსურს, გვინდა! და სურვილი
ვით არარა იკარგება...
გვიცხოველებს, გვიზრდის სურვილს
ცისა სივრცე, მთა და ბარი,—
მაგრამ აგერ, მგლოვიარეთ
მოგვიწოდებს შრომის ზარი.
ჩვენ იქ წავალთ!—შრომის ღერძი
იქა დრტვინავს, ჰკვნესის ჰგოდებს
და ესე ხმა მგლოვიარე
მომავლისკენ მოგვიწოდებს:—
„თქვენ, მაშვრალნო, ჩემს კვალს მოჰყევთ!—
გაგიღვიებთ გულს იმედსა
და თქვენს მკერდზედ დავასვენებ
მზეს,—თქვენს სატრფოს! მზეს—თქვენს ბედსა!..“

ბაბილინა.

ბ-ნ ლისოვსკის ლექცია.

კოლექტივიზმი.

(დასასრული).

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურულ მიმდინარეობათა თავისებურობა რუსეთში შედარებით დასავლეთ-ევროპის ლიტერატურასთან, ლექტორმა საკმაო მოხდენილათ გაარკვია, თუმცა არა ისე სისრულით და ვრცლათ, როგორც ეს ჩვენ გვინდოდა და აი, ლექციის ეს ნაწილი აუცილებლათ ბევრათ უკეთესი იყო.

დასავლეთში დიდი ხანია, რაც მოხდა ლიტერატურის დიფერენციაცია საზოგადოებრივ ცხოვრებიდან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იქ ლიტერატურა არ თამაშობდა ისეთ როლს, როგორსაც რუსეთში. ეს არც გასაკვირია. იქ საზოგადოებრივ ცხოვრებას ბევრი სხვადასხვა საშუალება აქვს თავის გამოსახატავათ; იქ პარლამენტი ასრულებდა და ასრულებს იმას, რაც თავის წარმოშობის დროს მიზნათ დაისახა რუსეთის ლიტერატურამ.

ეს მიზანი ჩვენ შემდეგ ფორმულაში გამოვსახეთ: **ბრძოლა თავისუფალი პიროვნებისათვის და თავისუფალი საზოგადოებრივობისათვის.**

მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში პარლამენტი შესანიშნავი სიძლიერით და დაბეჯითებით ემსახურებოდა მოწინავე დემოკრატიის ამ მიზანს, რუსეთში საზოგადოებრივი აზრის ერთად-ერთი თავშესაფარი იყო ლიტერატურა. და აი, აქედან წარმოსდგება განსხვავება ლიტერატურის სვე-ბედში იქ და აქ.

ლექტორმა სინამდვილით აღნიშნა, რომ ჩვენში თეორიული ელემენტები უფრო სჭარბობდენ, ვინემ პრაქტიკული. და ესეც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომელიც ჩვენ ზევით დავასახელეთ. ეს კითხვა მეტათ სერიოზული და რთულია და ლექტორის მიერ გაკვრით თქმული რამდენიმე სიტყვა, რასაკვირველია, საკმარისი არაა ამ კითხვის სავსებით გასანათებლათ, მარა ამ ხელათ დავკმაყოფილდეთ ამ შენიშვნით და შევჩერდეთ იმ ანალიზზე, რომელიც გაუკეთა ლექტორმა ანდრეევის, გორკის და არციბაშევის ლიტერატურულ ნაწარმოებთ.

სამწუხაროთ, რეცენზია მეტად გაგვიგრძელდა და ამიტომ იძულებული ვართ გვერდი ავუხვიოთ ანდრეევს და გორკის და ამათ შესახებ დავკმაყოფილდეთ შენიშვნით რომ ლექციის ნაწილებთა შორის იმ პროპორციონალის უქონლობამ, რომელზედაც ჩვენ ზევითა ვსთქვით, აქაც იჩინა თავი.

სრულიათ გაუგებარია, როგორ შეიძლება გორკის კოლექტივისტურ შემოქმედებაზე ილაპარაკო და დაივიწყოთ მისი „დედა“ (Мать), რომელიც, ასე ვთქვათ, კოლექტივისტურ პოემათ ითვლება. ბ. ლისოვსკიმ კი ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია გორკის ეს უდიდესი ნაწარმოები.

საზოგადოთ ჩვენ შევნიშნეთ, რომ ბ. ლისოვსკის მიდრეკილება აქვს тщательно процѣживать муху и глотать верблюда—როგორც რუსები იტყვიან.

როცა ბ-ნ ლისოვსკი ლაპარაკობს ლიტერატურულ საზოგადოებრივ მიმდინარებათა ცვლილებაზე რუსეთში, ის ყველაზე უფრო დიდ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობას—მარქსიზმს „ულაპავს“, ხოლო სწმენდს კრიტიკის საცერში ისეთ მიმდინარეობას—დეკადენტიზმს, რომელსაც არავითარი ძირი და ფესვები არ აქვს ცხოვრებაში.

არ შემიძლია მკითხველების ყურადღება არ მივაქციო იმ გარემოებას, რომ ლექტორმა თავისებურათ დაახასიათა სანინი.

ლექტორის სიტყვით გამოდის, რომ სანინი საზოგადოების ფრიად სასარგებლო წევრია, მას არა თუ არ უნდა გაურბოდეს საზოგადოება, არამედ—სიამოვნებით უნდა მიიღოს ის თავის ფრთეთა ქვეშ.

რისთვის?

თურმე ნუ იტყვით, იმისთვის, რომ „ჩვენ შევეჩვიეთ უმთავრესი ყურადღება კითხვის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მხარეს მივაქციოთ, პირადი მხარე კი მივიწყებულია და აი, სანინი სწორეთ ამ მხრით ყოფილა უმთავრესათ საყურადღებო.

ის თურმე ძლიერ სასარგებლო იქნებოდა „ყოფა-ცხოვრების გასამაგრებლათ“ (для укрѣпленія быта).

ჩვენ კარგათ არ გვესმის რას გულისხმობდა ავტორი „ყოფა-ცხოვრების გამაგრებაში“ და რა მხრით იქნებოდა ამისთვის სანინი სასარგებლო იმ დროს, როდესაც ის ფეხ-ქვეშ თელავს ამ „ყოფა-ცხოვრებას“.

ლისოვსკიმ ცნობის მოყვარეობა გაგვიღიზიანა და ამ კითხვაზე კი პასუხი არ მოგვცა.

საზოგადოებამ უნდა მიიღოს სანინი, მაგრამ მას არ უნდა ეს საზოგადოება, მწუხარებით ამბობს ლექტორი.

ჩვენ კიდევ არ გვესმის, როგორ შეიძლება ისეთი კაცი სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, რომელიც ამ საზოგადოებას გაურბის და მოკლებულია ყოველივე სოციალურ ინსტიქტებს. ჩვენ ველოდით, რომ ლისოვსკი მაინც გადაგვიშლიდა თვალ-წინ სანინის იმ ღვაწლს, რომელიც შეიძლება ჩვენ ვერ შევამჩნიეთ რომანის კითხვის დროს, ღვაწლს, რომლისთვისაც სანინს საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა საზოგადოებაში და რომლის შენიშვნა მხოლოდ ბ-ნ ლისოვსკიმ შესძლო, მაგრამ გარდა იმისა, რომ არციბაშევის გმირს „მაგარი, ნათელი და ჯანსაღი ჭკუა ჰქონებია“, მაგრამ „მეტათ ელემენტარული და პრიმიტიული“,—ჩვენ ვერაფერი ვერ გავიგეთ ლისოვსკის სიტყვებიდან. ლექტორს სანინის „ნათელი და მტკიცე ჭკუის“ დასამტკიცებლათ არავითარი საბუთი არ მოუყვანია და ჩვენ მხოლოდ მის სიტყვებს უნდა დავერწმუნოთ.

ჩვენ ვტყობილობთ მხოლოდ, რომ ის სჩადის ბევრ საზიანო საქმეებს, მაგალითად გულგრილათ ჩაივლის, როცა ხედავს, როგორ აწვალებენ ქალს, ბედის ამარა სტოვებს შერცხვენილ დას, უზრდელათ ექცევა დედას და სხვა.

კიდევ ვეკითხებით:

ნუ თუ ეს არის ის ღვაწლი, რომლის გულისთვისაც საზოგადოებამ უნდა მიიღოს სანინი? ეჭვი არაა, ლისოვსკი ამას ადასტურებს. განა ეს არის ღირსებები, რომლებიც ხელს უწყობენ „ყოფა-ცხოვრების“ (бытъ) გამაგრებას?

ჩვენ კი, პირიქით, სანინი გახრწნილ კაცათ მიგვაჩნია, რომელიც დღეს დასცინის მას, რაზედაც გუშინ ლოცულობდა; მიგვაჩნია ისეთ პარაზიტათ, რომლის არ მიღება, რასაკვირველია, არ შეუძლია იმ საზოგადოებას, რომელიც ასეთივე პარაზიტებიდან შესდგება.

მაგრამ არის საზოგადოება და საზოგადოებანი, როგორც მოლიერის პერსონაჟის „ფაგო ეფაგო“. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც თავის დროის მოწინავე იდეალების მატარებელია, რომელმაც თავის დროშაზე განსაზღვრული, საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალები გამოხატა და რომელიც აქტიურათ მიისწრაფვის ამ იდეალისაკენ, არა თუ მიიღებს თავის წრეში ამ მუქთა ხორას, არამედ—ახლოსაც არ მიიკარებს.

ასეთია ჩვენი შეხედულება სანინზე, რაც, როგორც ხედავთ, ძირითადათ განსხვავდება ლისოვსკის შეხედულებისაგან.

ლექტორმა ეფექტიანათ დაასრულა თავისი ლექცია. მან იმედ დაკარგული საზოგადოება შეადარა მეთევზეს, რომელიც ზის გატეხილ ვარცლთან და **ელოდება** მღელვარე ზღვიდან ოქროს თევზს.

ჩვენი ულონო და აპატიური საზოგადოება, რომელსაც ენერგია გამოლევია, მართლაც ჰგავს მეთევზეს, რომელიც **ელოდება** „ზღვიდან კარგ ამანდს“, მაგრამ იმ აქტიურ და მოწინავე ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას, რომელზედაც მე ზე-

მოთ ვსთქვი, არა აქვს საბუთი **მორჩილებით** ელოდოს „ოქროს თევზს“.

არა, თუმცა მან იცის, რომ მის წინ გატეხილი ვარცხლია, მაგრამ ეს საბუთს არ აძლევს არც პესსიმიზმის და არც **მორჩილ** ოპტიმიზმისას. მისი ოპტიმიზმის წყარო სულ სხვაა, რის შესახებაც გასაგებ მიზეზის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ამ ჟამათ ვრცლათ ლაპარაკი.

ჩვენ საზოგადოების ამ ნაწილის თვალთახედვის წერტილზე ვდგევართ და დობროლიუბოვის კითხვაზე: „когда-же придетъ настоящій день“,—ვუპასუხებთ: „ძლიერ ჩქარა“.

ჩვენ პასსიურათ ზღვის ნაპირზე არ ველოდებით „**იმ დღეს**“, თუ როდის ამოცურდება „ოქროს თევზი“, არ ველოდებით გულხელ დაკრეფილი. „მანილოვშჩინა“ უცხოა ჩვენთვის. ჩვენ არა თუ ვოცნებობთ, ზღვის ნაპირას მჯდომარე, რომ

«тамъ за далью непогоды есть блаженная страна»

არამედ—კარგი ხანია შევცურდით ზღვაში, სადაც ჩვენ ვებრძვით მრისხანე ტალღებს.

თქვენ გინდათ გაიგოთ: გვაშინებენ ჩვენ ისინი თუ არა?!

სრულიადაც არა. ჩვენ მედგრათ ვუსვამთ ნიჩბებს, უკვე ვხედავთ მეორე ნაპირს, საიდანაც ციმციმებს სინათლე და იქითკენ მივაქანებთ ჩვენს ნავს.

ჩვენ დავეტაკეთ ქვას (мель), ჩვენი ნავი დაზიანდა, მაგრამ ეს არ გვაძლევს დალონების და **მორჩილ პესსიმიზმის** საბუთს.

ჩვენ დავინახეთ წინ სინათლე, შევაკეთეთ დაზიანებული ნავი და მხიარული სიმღერით ისევ მივისწრაფით საოცნებო ნაპირებისაკენ.

იქითკენ, სადაც

„За далью непогоды есть блаженная страна“.

გლ. ბაქრაძე.

შერეული კომისია

1906 წ. 15 ნოემბრის კანონის ძალით ადგილობრივი თვითმართველობის, სავაჭროების პატრონების და ნოქრებისაგან თანასწორათ უნდა შესდგეს ეგრეთ წოდებული შერეული კომისია, რომელმაც ამ კანონის ფარგლებში ადგილობრივი პირობების მიხედვით უნდა შეიმუშაოს როგორც სავაჭროების პატრონებისთვის, ისე ნოქრებისთვის სავალდებულო ნორმალური სამუშაო დღის და დასვენების წესები. ასეთი შერეული კომისია ჩვენში შესდგა 1907 წ.—თვითმართველობის, წვრილ საწარმოვო სახელოსნოების პატრონების და მუშების წარმომადგენლებისაგან, რომელიც თავის კრებებზე იწვევდა ყველა პროფესსიის სახელოსნოებიდან მუშებს თითოეულ სახელოსნოში არსებულ პირობების გასაცნობათ; ეკითხებოდა აგრეთვე პროფესსიონალურ კავშირებს, თუ როგორი პირობების დაკანონება უფრო სასურველია და რადგანაც მის (კომისიის) პროექტში უმთავრესი ადგილი 8 სამუშაო დღეს ეჭირა, რამაც ქალაქის საბჭოს სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვია, გერმიშევ-დოლუხანოვების კომპანიამ პროტესტიც განაცხადა ამ ვითომდა „წარმოების განვითარების ხელის შემშლელი“ პროექტის დამტკიცების წინააღმდეგ და მოითხოვდენ მის (პროექტის) უარყოფას. 1907 წელს 8 აპრილს, აგრეთვე ნოქრებსაც უნდა ამოერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები შერეულ კომისიაში, მაგრამ ვინაიდან ვერ გაუწიეს შესაფერი ანგარიში შერეულ კომისიაში მუშაობის მნიშვნელობას,—ვერ ასწონ-დასწონეს ყოველ მხრით თუ რა სარგებლობას მოუტანდათ და უმთავრესი ყურადღება მის შედგენილობას მიაქციეს; როცა დაინახეს, რომ მათი წარმომადგენლები ერთ მესამედს შეადგენდენ, უნდობლობის თვალით დაუწყეს ყურება და ბოიკოტი გამოუცხადეს.

დღეს ხელმეორეთ იწვევს ქალაქის თვითმართველობა ნოქრებს, რათა ამოირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები.

ჩვენის აზრით ნოქრებმა ამ შერეულ კომისიაში ენერგიულათ უნდა იმუშაონ, ვინაიდანსულ ერთია, თუ ისინი არ ჩაერევიან საქმეში, თვითმართველობა და სავაჭროების პატრონები მაინც შეიმუშავებენ სავალდებულო ნორმალურ სამუშაო დღის და დასვენების წესებს. არც იმ გარემოებამ უნდა შეაშინოს ნოქრები, რომ 1907 წელს შემდგარ შერეულ კომისიის შემუშავებული პროექტი ქალაქის უწყებათა არხივში დევს. ამიტომ ჩვენი კომისიის შემუშავებულ პროექტსაც იგივე ბედი მოელისო.

მართალია აგვიანებენ ამა თუ იმ პროექტის ცხოვრებაში გატარებას, მარა ეს კიდევ არ ნიშნავს მის სრულიათ დასამარებას. დღეს თუ არა ხვალ, მაინც იძულებული გახდებიან ამ შემუშავებულ წესებს ანგარიში გაუწიონ. ესეც რომ არ იყოს, შერეულ კომისიაში მუშაობას, თუ შეიძლება ასე ითქვას ერთგვარი პარლამენტარული აღზრდა-გამოცდილების და თვითმოქმედების მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ნოქრებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებში და გაიყვანონ უფრო მომზადებული პირები, რომლებიც ნათელ უყოფენ და შესძლებენ დაიცონ ოქრების ინტერესები.

რაც შეეხება კითხვების არსებითათ გარჩევას, ამას მაშინ შევეხებით, როცა დაიწყება თათბირი.

ოსი.

წერილები თავრიზიდან

საერთო მდგომარეობა.

(დასასრული)

ბევრი გუშინდელი რევოლიუციონერი დღეს რეაქციონერებია იმიტომ, რომ ახალი კლასები ახალ რევოლიუციას და თავის ბატონობას თხოულობენ. დღემდის სათარ-ხანა—ბაგირხანი ცნობილი იყო როგორც რევოლიუციის მეთაურები, დღეს კი მთავრობა ეწევა სამხედრო საქმეს და ის იცავს წესს. მთავრობამ სამად-ხანს ჯარის უფროსობა მიანდო. გუშინ კი ეს სამად-ხანი ცეცხლსა და მახვილს აძლევდა რევოლიუციონურ თავრიზს. სათარ-ხანის გარშემო თავი მოიყარეს მუჯაიდებმა, მთავრობამ ამას ყურადღება მიაქცია და სათარხანს უნდობლათ დაუწყო ყურება. მთავრობამ გაამარტოვა ბაგირ-ხან—სათარ-ხანი. ბაგირხანს მიანდო ჯარის უფროსობა ყარადაღში, სათარ-ხანს დააბრალა არდებილში ხალხის ძარცვა. ბაგირ-ხან—სათარ-ხანს შორის რევოლიუციის დროსაც იყო უთანხმოება, მარა მაშინ ხალხი ძლიერი იყო—რევოლიუციონური აღფრთოვანება წვრილმანობისთვის და პირადი ინტრიგობისთვის არ აცლიდა მათ, ეხლა უფრო მშვიდი დროა და ბაგირ-ხან—სათარ-ხანიც განშორდენ ერთმანეთს... ამ განშორებას ხელი შეუწყვეს იმ რეაქციონერებმა, რომლებიც ჯარის უფროსებათ არიან და ვინ იცის, რას ამზადებენ... მასთან ეწევიან ერთგვარ აგიტაციას: სათარხანმა ხალხი დაძარცვა, ქონება შეიძინა, სანდო არ არისო! ამით სურთ სათარხანი გაამარტოვონ, ამის შემდეგ ადვილი დასამარცხებელი იქნება ის დემოკრატია, რომლის აჩრდილი უკვე აშინებს დღევანდელ ოფიციალურ მთავრობას 'შეუნებელ მუჯაიდებს სათარხანს გადაკიდებენ... სათარ-ხანი თავს კარგათ გრძნობს, ანგარიშს არ უწევს ამაებს და თხოულობს, რომ მას თვეში მთავრობამ ათასი თუმანი (თუმ. 1 მ. 70 კ.) დაუნიშნოს, მთავრობა ევაჭრება და დროს უცდის, რომ სულ უადგილოთ დარჩეს თავრიზის გმირი,—ჯერ მას აძლევენ საჭირო ფულს, მარა დანიშნული სამსახური არ აქვს... მის სამმართველოს განაგებენ უვიცი და ინტრიგანი პირები, მუჯაიდება და ხალხი მას გულ-გრილათ ეპყრობია, თუმცა მისი სახელი ჯერ ისევ ბრწყინავს—მას მთელი სპარსეთი შეყურებს და მთავრობაც ანგარიშს უწევს,—მარა თვითონ წერა-კითხვის არ მცოდნეა და ახალ აღორძინებულ კლასებს თავს ვერ ართმევს... მან რევოლიუციის დაწყების შემდეგ ააშენა ორი მოზრდილი სახლი შვენივრათ გამართული, შეიძინა საუცხოვო ბაღი, რომელშიაც მისცა 17,000 მანეთი! ამბობენ, იმ რეაქციონერებმა, რომლებიც სიკვდილს გადაარჩინა სათარხანმა, მთელ ადერბეიჯანში,—დიდძალი ფული მისცესო!.. ამ ერთი თვის წინეთ თავრიზში დაატყვევა მთავრობამ ცნობილი რეაქციონერი ქარბ-უსეინი სოფ. სუჯის ხანი, რომელმაც მთელი სოფლები ააოხრა, რევოლიუციონერები დახოცა და სოფლები გადაწვა... ეს ხანი სათარხანის რჩევით გაანთავისუფლეს.—ხალხი ამბობს—4,000 მ. აიღო ქრთამათ სარდალმაო!.. ეს განთავისუფლებული ხანი 23 დეკემბერს მიიჭრა თავის სოფელში და სასიკვდილოთ დააჭრევინა თავის მხლებლებს სამი რევოლიუციონერი და როდესაც თავრიზის გუბერნატორმა ბრძანება გასცა იარაღი აყარეთ ორთავე მხარესო, ქარბ-უსეინმა ჯულფაში მყოფ ჯარს შეაფარა თავი!., სათარ-ხანის ქონება და ასეთი საქციელი საგიტაციო მასალათ ეძლევა რეაქციონერებს და ნიადაგიც აქვს... რეაქცია, რომელიც ემზადება, ეს არ ეგვანება მამადალი შახის და მის დამცველ ყაჩაღების გამოსვლას, არამედ—ეს იქნება ბუნებრივათ წარმოშობილი ირანის დღევანდელ ძალთა განწყობილების — ამიტომ უფრო საშიში და ძლიერი იქნება იგი. რევოლიუცია ჯერ არ გათავებულა, დახოცილ მებრძოლთა გვამი „არ გაცივებულა“ საფლავში და თვით ბაგირ-ხანიც კი ალაპარკდა ქრისტიან რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ყოველივე რეაქციონური გამოსვლა-მოქმედება ხალხს აღვიძებს და ერკვევა ღრმა ძილისაგან... ყოველ დაბა-ქალაქში და სოფლებში შეხვდებით ლაპარაკს... მებრძოლი გურჯები (იგულისხმეთ სოც.-დემოკრატები) ყოფილან, მოვიდენ, იბრძოლეს, დაიხოცენ, მათი ცოლ-შვილი ვინ იცის რა გაჭირვებას განიცდის და მათი ამხანაგები მშიერი ცხოვრობენ თავრიზ-ხოიში იმ დროს, როდესაც ჩვენმა მეთაურებმა სახლები ააშენეს და ფული ბანკში აქვთ, ჩვენი რევოლიუცია დღეიდან იწყება—ჩვენი მედროშე სოც.-დემოკრატები უნდა იყოსო—გაიძახის ქალაქის და სოფლის გაღატაკებული ხალხი... თუ რამდენათ მართალია ეს, ამას სპარსეთის მომავალი გვიჩვენებს ახლო ხანში...

შედგა ჯგუფი ტერორისტების, რომლებმაც მიზნათ დაისახეს რეაქციონერ ხან-მოლების დახოცვა. ამ ჯგუფში უმთავრესათ შედიან ის ხანები, რომლებიც რევოლიუციას მიემხრენ და მდიდარ ხანებთან ცუდ განწყობილებაში იყვენ ეკონომიურ და სისხლის ღერის ნიადაგზე; მათი რიცხვი 15-მდეა და ჯერჯერობით მათ მოკლეს საშიში რეაქციონერი მდიდარი იზო-ხანი — მაქოს ახლოს...

ზოგი გავლენიანი რევოლიუციონერიც ფიქრობს ტერორით მოქმედებას. მთელი ყურადღება მიქცეულია დემოკრატიული პარტიის მოწყობაზე, რომელიც უკმაყოფილოა მომხდარი რევოლიუციის შედეგებით... რაც შეეხება სოფლებს, ის „ღვთის ანაბარათ“ არის დატოვებული...

ვაჭრობა შედარებით გაჩაღებულია, უმთავრეს გზებზე მიმოსვლა უზრუნველ ყოფილია, მარა უცხო ჯარის აქ ყოფნა რეაქციას აძლიერებს და რევოლიუციას ფრთას აკვეცს...

მიუხედავათ ასეთი პირობებისა, ერთხელ აგორებული ცხოვრება მძლავრათ მიდის წინ—დღეიდან ირანი საერთაშორისო ცხოვრების ფერხულში ჩაება, ყოველგვარი რეაქცია აქ ახალ რევოლიუციას გამოიწვევს—წინმსვლელობის გზაზე ივლის...

გლასა მგელაძე.

უკანასკნელი ფოსტა

საზღვარ-გარეთ

ახალი დემონსტრაციები. ბერლინში 28 თებერვალს ახალი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა. დემოკრატებმა გამართეს მიტინგი, რომელსაც 5,000 კაცი დაესწრო. მიტინგზე ლაპარაკობდენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები. მოლაპარაკე ორატორები უმთავრესათ ეხებოდენ საარჩევნო რეფორმის საკითხს და პოლიციის მოქმედებას. მიტინგმა პოლიციის მოქმედების შესახებ საპროტესტო წერილი გაგზავნა მაგისტრატურაში. მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც გლეხებსა და ინტელიგენტიას მოუწოდებს საარჩევნო უფლებისათვის, ბრძოლაში ხელი-ხელ ჩაკიდებული წავიდენ პროლეტარიატთან. მიტინგი დემონსტრაციით დასრულდა, რომელსაც 1,000 მუშა შეუერთდა. მარსელიოზის მღერით და „გაუმარჯოს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებას“ ძახილით დემონსტრატებმა შემოიარეს მთელი ქალაქი. დემონსტრანტები ვერ შევიდენ მხოლოდ ქალაქის ცენტრში, რომელიც პოლიციელების გაძლიერებული რაზმებით იყო გარეული. პოლიციასთან შეტაკება არ მომხდარა. პოლიციამ დაატუსაღა ბევრი დემონსტრანტები, მათ რიცხვში ცნობილი პუბლიცისტის და პოლიტიკური მოღვაწის გერლახის ცოლი. დემონსტრანტები საუცხოვოთ იცავდენ წესიერებას. გაზეთები მოითხოვენ პოლიციის პრეზიდენტის გადაყენებას, რომელიც დემონსტრანტებს სასტიკათ ეპყრობა.

დემონსტრაციები პროვინციებში. ფრანკფურტში, ბრესლავლში და სხვა პროვინციალურ ქალაქებშიაც გამართა 28 მარტს გრანდიოზული მიტინგები და დემონსტრაციები, რომელშიაც რამდენიმე ათი ათასი იღებდა მონაწილეობას. დემონსტრაციები და მიტინგები მოაწყვეს სოციალდემოკრატებმა და თავისუფალ მოაზრეებმა. მიტინგებზე ორატორები კიცხავდენ პოლიციელების თავაშვებულ მოქმედებას და ახალ საარჩევნო რეფორმას. „რუსსკოე სლოვოს“ სიტყვით, სოციალდემოკრატებს და თავისუფალ მოაზრეებს რეზოლიუცია მიუღიათ, რომელშიაც ნათქვამია: „ცალ ცალკე ვიაროთ, ერთათ ვიბრძოლოთ“ რომ მთავრობას საშუალება არ მივსცეთ დამახინჯებული საარჩევნო რეფორმა გაატაროს ცხოვრებაში.

ფრანკფურტში დემონსტრაციებმა მშვიდობიანათ ჩაიარა. ბრესლავლში კი პოლიციამ იერიში მიიტანა დემონსტრანტებზე, ბევრი დასჭრეს, დაასახიჩრეს და დაატუსაღეს.

ბიუჯეტი რეიხსტაგში. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ბიუჯეტის განხილვის დროს რეიხსტაგში სოციალდემოკრატებმა, ცენტრმა და თავისუფალ მოაზრეებმა მოითხოვეს, რომ ელზას-ლოტრინგია მთავრობამ დამოუკიდებელ, მოკავშირე სახელმწიფოთ გამოაცხადოს, შემოიღოს იქ კონსტიტუცია, ოთხ-ფორ მოლიანი საარჩევნო უფლებით. ორატორები ამტკიცებდენ, რომ ელზასელების სეპარატიზმზე ლაპარაკი მხოლოდ ზღაპარია და რომ ისინი სრულებით დაკმაყოფილდებიან კონსტიტუციის შემოღებით.

ახლო-აღმოსავლეთი

„**ერთობის და პროგრესის**“ პარტიაში „სალონიკის გაზეთის“ სიტყვით განხეთქილება მომხდარა. პარტია ორ ფრაქციათ გაყოფილა: „ინტელექტუალისტები, რომლებსაც სხვათა შორის, ემხრობა რიფაათ-ფაშაც და „მილიტარისტები“. „ინტელექტუალისტები“ მომხრენი არიან ინგლის-საფრანგეთ-რუსეთთან შეთანხმების, მხოლოდ „მილიტარისტები“ „სამთა კავშირთა“ დამეგობრების მომხრეა. განხეთქილებას ის შედეგი მოყვება, რომ „ერთობის და პროგრესის“ პარტიიდან ბევრი საპარლამენტო დეპუტატები გამოვა.

რუსეთი.

პროსტიტუტკების პეტიცია. პეტერბურგის პროსტიტუტკების ერთ ჯგუფს პეტიცია შეუმუშავებია და სიფილის მომწვევ საორგანიზაციო კომისიისათვის გაუგზავნია. პეტიციაში ნათქვამია, რომ ქალების გარყვნილების გზაზე დაყენების მიზეზი, სხვათა შორის, არიან ხანში შესული როსკიპი ქალები, რომლებიც უპატრონოთ და უკუგმაპურთ დარჩენილ ქალებს მოატყუებით ერეკებიან საროსკიპოში. პეტიციის ავტორების აზრით, მოხუცებული როსკიპი ქალები თავშესაფარში მოთავსება რომ შეიძლებოდეს, გარყვნილთა რიცხვი $^3/_4$-ით მაინც შემცირდება. ბევრი საგულისხმიერო რჩევის მოცემა შეგვეძლო, ამბობენ პეტიციის ავტორები, მაგრამ ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ სხდომაზე დასწრების ნებას მოგვცემთ და ჩვენებას ჩამოგვართმევთ: ჩვენ მოხარული ვიქნებით—იმას მაინც თუ შეგვისრულებთ, რასაც პეტიციაში გწერთო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! „ახალი სხივის“ მე-23 ნ-ში მოთავსებული არის წერილი გურიიდან ბ. კრეპკიძისა. წერილში სხვათა შორის არის მოხსენებული ახალშენელებისა და ზოგიერთ ლეხაურელებს და მაკვანეთლებს შორის შეტაკება ჩოლოქის მამულის გამოსყიდვის შესახებ. რადგან ამ წერილში მეტა გარ მოხსენებული და რამდენიმე მუხლი წერილისა სინამდვილეს ეწინააღმდეგება, გთხოვთ ამ სინამდვილის აღსადგენათ მოათავსოთ შემდეგი: სადავო ჩოლოქის მამული მდებარეობს ლეხაურისა და მაკვანეთის საზღვარზე და არამც თუ 6—7 ვერსტზე, როგორც ავტორი ამბობს, არამედ—ერთ ვერსტზეც არ არის დაშორებული.

ეს მამული უწინ ლეხაურელ და მაკვანეთელ მემამულეებს ეკუთვნოდა, ახლა კი ბანკს დარჩა. უხსოვარის დროიდან ამ მამულით სარგებლობდენ და დღესაც სარგებლობენ ლეხაურლები და მაკვანეთლები. დაყოფილი აქვთ ნაწილ-ნაწილად და შიგ ყველას სასიმინდეები აქვთ ჩადგმული, ხოლო მაუხნავ ნაწილს ხმარობენ საბალახოთ. როცა ახალშენელებმა მოინდომეს ხსენებული მამულის ყიდვა—სამართლიანობა მოითხოვდა ლეხაურლებს შეეკითხებოდნენ და გაეგოთ მაინც რა შედეგი მოჰყვებოდა ამ მამულის ლეხაურელების ხელიდან გამოცლას, მაგრამ მათ ეს არ ისურვეს და სრულიად სხვა გზას დაადგნენ. როცა ლეხაურელებმა მათი განზრახვა, ე. ი. მათი განზრახვა მიწების ყიდვის შესახებ გაიგეს, მაშინვე დეპუტაცია გაუგზავნეს ახალშენელებს და სთხოვს თავი დაენებებინათ, მაგრამ ვერავითარი გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღეს. მაშინ ლეხაურლებმა და მაკვანეთლებმა გამოგზავნეს ბანკში თავიანთი რწმუნებულნი და შეეკითხნენ ბანკს რა პირობით შეიძლებოდა მამულის ყიდვა. ბანკმა თავის პირობები დაუდვა (17 ათასი მან.) ლეხაურლებიც დასთანხმდნენ ამ პირობებზე. ხოლო ბანკმა დასძინა: რადგან ახალშენელებიც აპირებენ ამ ადგილების ყიდვას ერთმანეთში მორიგდითო ან და მედიატორული წესით გაარჩიეთ საქმეო. ორთავე მხარე წავიდა ჩოჩურეთში, მაგრამ იქ დარიგებით ვერ გაეწყვეს საქმე და ბოლოს საქმე იმაზე მიდგა, რომ მამულზე ორთავე მხარეს უნდა „ეტორდა“ და ვინც მეტს მისცემდა, მამული იმას დარჩებოდა. ამ საქმეზე ახალშენელების მხრით ჩამოვიდენ თფილისში გ. კალანდაძე და პაიჭაძე. ლეხაურის მხრით კი ერმინე ნაკაშიძე და ყარამან სურგულაძე და მე, როგორც ლეხაურელს, მთხოვეს რომ მონაწილეობა მიმეღო. მე მივიღე ზომა და „ტორღი“ ავაშორე და მორიგებით გავათავეთ საქმე ჯერ ჯერობით, ე. ი. მამულის ბეთ წარვადგინეთ 2000 მან. და დავდეთ პირობა, რომ ამის შემდეგ ავირჩიოთ მედიატორები და ვისაც დარჩება მამული, იმას ვაკუთვნოთ. როგორც მკითხველი ხედავს, მე აქ მედიატორის წინააღმდეგი არ გამოვსულვარ. ხოლო რაც შეეხება ბ. პაიჭაძის და კალანდაძის წინადადებას, რომლებიც ცდილობდენ თფილისში გარჩეულიყო საქმე და მედიატორებიც თფილისში აგვერჩია, ამაზე მე უარი ვუთხარი იმ მოსაზრებით, რომ ჯერ ერთი, მე სოფლიდან მაგის მონდობილება არა მქონდა და მეორე, არ მესმის რა საჭირო იყო თფილისში გარჩევა საქმის, როცა ადგილობრივ ეს უფრო ადვილიც იყო და უფრო გასაგებიც, თუ ბ. ბ. პაიჭაძეს და კალანდაძეს იმისი ეშინოდათ, რომ ლეხაურში და მაკვანეთში ახალშენელებზე ბევრი უფრო უმამულო მცხოვრებია. და მედიატორე უეჭველად მათ დაარჩენსო, ეს ჩემი ბრალი არ არის. ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან დიდი უსამართლობა იქნება ლეხაურლებს ჩამოვართვათ მიწა და ახალშენელები დავასახლოთ იქ, და შემდეგ ლეხაურელების გადასახლებაზე დავიწყოთ ზრუნვა. ნუ თუ უმჯობესი არ იქნება ლეხაურში და მაკვანეთის საზოგადოებაში მდებარე ადგილები სრულიად იქაურ უმამულო ხალხს დაურიგონ, და ახალშენელებისთვის სხვაგან თავისუფალი ადგილები მოვსძებნოთ. ამასთან, საკვირველია ბ. კრეპკიძის ლოღიკა, როცა ის მე არა აგითხე აპეკუნს მეძახის. თუ ჩიდისთაველ ბ. პაიჭაძეს და კალანდაძეს უფლება აქვთ ჯვარცხმულ და ასკანელ გლეხებისთვის მამულის შოვნაზე იზრუნონ, ნუ თუ მე, ლეხაურში მცხოვრებელს, არ შემიძლია ლეხაურის ბედიღბალზე ვიზრუნო! ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თუ რატომ ამ დრომდის ლეხაურელებმა არ შეიძინეს ის მამული, ამის პასუხი ძნელი არ არის: უმეტესი ნაწილი გურიის გლეხ-კაცობისა თავად-აზნაურობისა და და სახაზინო მამულებით ირჩენს თავს, ბევრგან იყო გასაყიდი მამულები. მაგრამ არავინ მსურველი არ იყო. მე შევეკითხები ბ. კრეპკიძეს? რატომ ახალშენელებმა აქამდის არ იყიდეს მამული, როცა ამ ორი სამი წლის წინათ თითქმის მუქთათ იყო მამული?

მამულის ყიდვა ყველას შეუძლია, მარა დაცილება კი არ არის კარგი.

ერ. გორდელაძე.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

კბილის
საექიმო კაბინეტი
იოხველისა

(„გაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით· (100—28)

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
ხირსა

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი —15-დან—30 კაპეიკამდე. (0—20)


„კახეთი“
Товарищество крестьянских кахетинских виноделов садовладельцев
„Kaxetia“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

№ 1 „ — 20 к. 16 „ — 3 р.
№ 2 „ — 25 к. 16 „ — 3 р. 60 к.
№ ˜ — 35 к. 16 „ — 5 р. 10 к.
„ — 50 к. 16 „ — 7 р.

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул.. .д № 18
Михаилу Николаевичу Ковалову. д.

სტამბა „შრომა“, რუსის ქ №3.